რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე გაკვეთილების ჩატარების ხელისშემშლელი ფაქტორები პედაგოგებისთვის

კვლევის ანგარიში

თანადგომა
TANADGOMA

2024

შესავალი

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხების სწავლების ინტეგრაცია მნიშვნელოვან, თუმცა გამოწვევებით სავსე პროცესს წარმოადგენს. ამ საკითხების სკოლის პროგრამაში შეტანა მიზნად ისახავს მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, მათ შორის ისეთი თემების განხილვას, როგორიცაა გარდატეხის ასაკი, ადრეული ქორწინება, ადრეული სქესობრივი კონტაქტები, რეპროდუქციული ფუნქცია და მსგავსი საკითხები. აღნიშნული თემების სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში სწორი ცოდნისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას, რაც მათი პიროვნული და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

მიუხედავად ამისა, განათლების სისტემაში ასეთი საკითხების შეტანა გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება. ზოგიერთი პედაგოგი თავს უხერხულად ან მოუმზადებლად გრძნობს მოსწავლეებთან რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე საუბრისას, რის შედეგადაც ეს თემები სრულყოფილად არ განიხილება. ასევე, საზოგადოების მხრიდან ხშირია უარყოფითი რეაქციები სქესობრივ განათლებაზე, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ზღუდავს მასწავლებლების შესაძლებლობას, რომ ამ თემებზე მოსწავლეებს კომფორტულად ესაუბრონ.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო იმ ფაქტორების დადგენა, რომლებიც აფერხებს მოქალაქეობისა და ბიოლოგიის პედაგოგებს, სრულადფასოვნად ასწავლონ რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხები.

კვლევა ჩატარდა პედაგოგთა ონლაინ გამოკითხვის გზით და განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მოსწავლეებთან ამ თემებზე საუბრის სირთულეები, საზოგადოების დამოკიდებულება და პედაგოგების პროფესიული მხარდაჭერის საჭიროებები.

მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს უფრო მოქნილი და ეფექტური საგანმანათლებლო მიდგომების შემუშავებას, რომელიც პასუხობს როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეების საჭიროებებს და უზრუნველყოფს სკოლებში რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე განათლების მაღალ ხარისხს.

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა

2024 წელი

კვლევის ანგარიში მოამზადეს:

ხათუნა ხაჟომია - საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა

ნინო წერეთელი - საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა

სარჩევი

კვლევის მიზანი.....3

კვლევის მეთოდები 3

მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები.....3

მონაწილეთა რეკრუტირება და კვლევის ეთიკის საკითხები.....3

კვლევის მონაცემთა ანალიზი.....4

კვლევის დასკვნები.....9

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი იყო იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ხელს უშლის საქართველოს სკოლებში მოქალაქეობისა და ბიოლოგიის პედაგოგებს, მოსწავლეებთან სრულფასოვნად განიხილონ რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხები.

კვლევის მეთოდი და მონაცემთა ანალიზი

კვლევის მიზნის მისაღწევად მოქალაქეობისა და ბიოლოგიის პედაგოგებს შორის ჩატარდა რაოდენობრივი ონლაინ გამოკითხვა. სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 364 პედაგოგმა, სრულად შევსებულ იქნა 201 კითხვარი, ხოლო ნაწილობრივ - 163 კითხვარი.

კვლევა ჩატარდა 2024 წლის ოქტომბერში. კვლევისთვის და მონაცემთა დამუშავებისთვის გამოყენებული იყო Zoho Survey-ის ონლაინ პლატფორმა. მონაცემები დამუშავდა, როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ (არასრულად) შევსებული კითხვარების ინფორმაციის მიხედვით.

მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები

კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო:

- საქართველოში მცხოვრები მოქმედი ბიოლოგიის და მოქალაქეობის პედაგოგი;
- კვლევაში მონაწილეობის სურვილი;
- მონაწილის შესაბამისობა კვლევის სამიზნე ჯგუფის მახასიათებლებთან;
- რესპონდენტის ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობის შესახებ.

მონაწილეთა რეკრუტირება და კვლევის ეთიკის საკითხები

კვლევაში მონაწილეთა შერჩევა მოხდა საქართვლოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ბილოგიის საგნის ექსპერტთა და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ჩართულობით. კვლევის კითხვარი იყო ანონიმური, გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი.

კვლევის მონაცემთა ანალიზი

1. პედაგოგების ჩართულობა:

რესპონდენტთა 50%-მა განაცხადა, რომ ატარებს გაკვეთილებს რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ, ხოლო 38,33% ამას ნაწილობრივ აკეთებს, რაც ხაზს უსვამს სწავლების მნიშვნელოვან ხარვეზებს.



პედაგოგთა 82,2% აღნიშნავს, რომ ატარებს გაკვეთილებს გარდატეხის ასაკზეს, 76,6% ეხება ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, ხოლო 74,57% საუბრობს სარისკო ქცევებზე მოზარდობის პერიოდში.







2. გამოწვევები სწავლების პროცესში:

გამოკითხულთა 79,69%-მა აღნიშნა, რომ თავს არაკომფორტულად გრძნობს ამ თემების განხილვისას, რასაც ხშირად საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები განაპირობებს.

Q21

თუ მასწავლებლები არ ატარებენ გაკვეთილებს, ან ეუხერხულებათ და ცდილობენ, თავი აარიდონ ჩატარებას, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზები? (შემოხაზეთ ყველა შესაბამისი პასუხი)

Answered: 192 Skipped: 172



პედაგოგთა 27.6%-მა დაასახელა არასაკმარისი ცოდნა, როგორც ბარიერი, ხოლო 21.88%-ს მიაჩნია, რომ ეს თემები არ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში.

3. პედაგოგების მხარდაჭერა:

რესპონდენტთა უმრავლესობა (69.35%) ფიქრობს, რომ დამატებითი ტრენინგი, ცოდნის და უნარების გაუმჯობესება დაეხმარება დისკომფორტის დაძლევაში, ასევე აღნიშნეს კოლეგებთან კომუნიკაციის საჭიროება (46.73%), რაც გამოცდილების გაზიარების აუცილებლობაზე მიუთითებს. რაც შეეხება მშობლების მხარდაჭერას (54.77%), საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და მშობელთა განწყობები ხშირად ნეგატიურად მოქმედებს ამ თემების სწავლებაზე. სწორედ მშობლებთან კომუნიკაციაში ხედავენ პედაგოგები ერთ-ერთ გამოსავალს.



4. მოსწავლის საჭიროებები:

პედაგოგების 32,49% თვლის, რომ მოსწავლეები სკოლაში იღებენ ადეკვატურ ინფორმაციას რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ, ხოლო 59,39%-ის აზრით, მოსწავლეები მხოლოდ ნაწილობრივ იღებენ სათანადო ინფორმაციას.



პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს რისკები, რომლებიც თანმდევია მოზარდების ასაკის. მათი აზრით რისკებს შორისაა ადრეული ქორწინება (64,77%), ადრეული სექსუალური კონტაქტები (79,79%), ნივთიერებების მოხმარება (73,06%) და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (67,88%).



5. განათლების უპირატესობები:

პედაგოგოების 85.26% ფიქრობს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთლეობის საკითხების სწავლება ეხმარება მოზარდს განივითაროს ჯანმრთელობაზე ზრუნვის უნარი, 83.68%-ის აზრით, ეს არის პირადი უსაფრთხოების დაცვის უნარი, 74.74% - საკუთარ თავზე და სხვებზე ზრუნვის უნარი, ხოლო 62.11% ექიმთან ვიზიტის უნარ-ჩვევები.



კვლევის დასკვნები:

კვლევის შედეგების მიხედვით, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის სწავლება სკოლებში მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება.

- **სწავლების ხარისხი**

კვლევის მონაწილეთა 50%-მა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად ატარებენ გაკვეთილებს რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე, ხოლო 38.33% ამ თემებს ნაწილობრივ ასწავლის. ეს შედეგი მიუთითებს, რომ თემა ნაწილობრივ გაშუქებულია, რაც იწვევს ინფორმაციულ დეფიციტს მოსწავლეებისთვის.

- **სწავლების ძირითადი ბარიერები**

პედაგოგების 79.69% აცხადებს, რომ თავს კომფორტულად ვერ გრძნობს მოსწავლეებთან რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის თემებზე საუბრისას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ამ თემების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებით. სირთულეებს შორის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ასევე დასახელებულია საკმარისი ცოდნის და უნარების ნაკლებობა (27.6%).

- **პედაგოგების საჭიროებები და მხარდაჭერის ფორმები**

პედაგოგთა უმრავლესობამ (69.35%) გამოთქვა სურვილი, ჩატარდეს დამატებითი ტრენინგები, რაც გაუმჯობესებს მათ პროფესიულ ცოდნას და უნარებს, რაც დაეხმარება მათ აღნიშნული

თემების სწავლების პროცესში. ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კოლეგებთან კომუნიკაცია გამოცდილების გაზიარების მიზნით (46.73%) და მშობლებთან პარტნიორული ურთიერთობა (54.77%) საზოგადოებაში არსებული სტიგმის დასაძლევად.

ეს შედეგები ცხადყოფს, რომ პედაგოგებს სჭირდებათ სათანადო მხარდაჭერა, რათა შეძლონ მოსწავლეებისთვის სიღრმისეული, და შესაბამისი ცოდნის მიწოდება.

- **მოსწავლეთა საჭიროებები**

პედაგოგთა 32.49% მიიჩნევს, რომ მოსწავლეები სრულყოფილად იღებენ ინფორმაციას რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ, ხოლო 59.39% აღნიშნავს ინფორმაციის ნაწილობრივ დაფარვას. პედაგოგები თვლიან, რომ სწავლება და სწორი ინფორმაციის მიწოდება ხელს შეუწყობს ისეთი საკითხების პრევენციას, როგორიცაა, ადრეული ქორწინება (64.77%) და ადრეულ ასაკში სქესობრივი ურთიერთობების რისკები(79.79%) , ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება (73.06%), და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები.

- **განათლების უპირატესობები:**

პედაგოგები მიიჩნევენ, რომ სწავლის პროცესში მოსწავლეებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის, ექიმთან ვიზიტის უნარების გამომუშავება და პირადი უსაფრთხოების დაცვა ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ეს პედაგოგიური მოტივაცია შეესაბამება მოსწავლეთა უსაფრთხოების გაძლიერებასა და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას.

რომ შევაჯამოთ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ პედაგოგს სურს განიხილოს რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის საკითხები საგაკვეთილო პროცესში, კულტურული ბარიერები, დისკომფორტი და მხარდაჭერის ან რესურსების ნაკლებობა რჩება მთავარ დაბრკოლებად.

რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხების სწავლების პროცესში მნიშვნელობა ენიჭება როგორც პედაგოგების პროფესიულ განვითარებას, ტრენინგებს,ისე კულტურული ბარიერების დაძლევას.

საგანმანათლებლო სისტემაში აუცილებელია მეტი რესურსის გამოყოფა პედაგოგების მომზადებისთვის, მათი მხარდაჭერის გაძლიერება, რაც გააუმჯობესებს მოსწავლეთა განათლებას და ხელს შეუწყობს გაუმჯობესოს პედაგოგების ცოდნა-უნარები,სკოლებში სრჯუ განათლების ხარისხი და მომავალი თაობის გაზრდა და განვითარება.